№7

ივლისი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისში ინფრასტრუქტურული პროგრამები გრძელდება

გვ:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს

გვ:4

გამოცხადებული ტენდერი და დაგეგმილი სამუშაოები, რომელიც სასმელი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს

გვ:4

ბოლნისში ინფრასტრუქტურული პროგრამები გრძელდება

ქალაქ ბოლნისში ადგილობრივი ბაზალტით გზების მოპირკეთება აქტიურად გრძელდება. იაკობ ცურტაველის, მერაბ კოსტავასა და თამარ მეფის ქუჩების მონაკვეთებზე ქვაფენილი იგება.

პროექტის ფარგლებში, აქ არსებულ კერძო სახლებზე შეიცვალა ქიშკრები და შეკეთდა ღობეები. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 832 885 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია,რომ იაკობ ცურტაველისა და მერაბ კოსტავას ქუჩებზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი 2020 წელს განხორციელდა. მიმდინარე წელს ქვაფენილი ფარნავაზ მეფისა და შოთა რუსთაველის ქუჩების დარჩენილ მონაკვეთებზეც დაიგო.

ძველი გერმანული შენობის რეაბილიტაცია დასრულდა

ქალაქ ბოლნისის ისტორიულ ნაწილში მდებარე ძველ გერმანულ შენობას, სადაც წლების წინ სომხური სკოლა იყო განთავსებული, ქართულ-გერმანული თანადაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა. პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე გერმანული მხარის დაფინანსებით, შენობა გადაიხურა, საძირკველს კონსტრუქციული გამაგრებითი

სამუშაოები ჩაუტარდა, ფასადი რეაბილიტირდა და მოხდა შენობისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა. დასკვნით ეტაპზე კი ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, შენობის შიდა ინტერიერი მოეწყო, ცენტრალური გათბობისა და ვინტილაციის სისტემები დამონტაჟდა , ასევე მოწესრიგდა ეზო და სარდაფი.რეაბილიტირებული ძველი გერმანული შენობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა, სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის თავმჯდომარემ ოლივერ რაისნერმა, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა დაათვალიერეს. ყოფილი სომხური სკოლის შენობაში ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრის გახსნა იგეგმება. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 356 000 ლარი გამოყო.

„თითოეული ბოლნისელი ამაყობს ჩვენი ქალაქის გერმანული წარსულით, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს ქალაქში არსებული გერმანული ძეგლები შეინარჩუნოს. მოხარული ვარ, რომ ყოფილი სომხური სკოლის ისტორიულმა შენობამ ახალი სიცოცხლე შეიძინა. ქართული და გერმანული მხარის ერთობლივი ძალისხმევით, შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მალე აქ ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრი გაიხსნება. მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო გერმანიის ელჩს საქართველოში ბატონ ჰუბერტ ქნირშს, რომელიც ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული და სწორედ მასთან ერთად მოვინახულეთ უკვე გარემონტებული ძველი გერმანული შენობა. ბოლნისის მუნიციპალიტეტი გერმანულ მხარესთან აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას და ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ერთად, ბოლნისისთვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ქვემო ბოლნისის მოსახლეობა მალე ახალი რიტუალების სახლით შეძლებს სარგებლობას

სოფელ ქვემო ბოლნისში რიტუალების სახლის მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით დაიწყო და უახლოეს პერიოდში დასრულდება.

პროექტი სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულებაც 398 526 ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობის პროცესს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან კონსტანტინე კორძაძესთან ერთად გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ წელს ქვემო ბოლნისში, რიტუალების სახლის მშენებლობის გარდა, 1500 გრძივ მეტრზე ბეტონის გზის დაგებაც ხორციელდება.

სოფელ ბალიჭში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

სოფელ ბალიჭში შიდა გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. 2350 გრძივ მეტრზე ასფალტის საფარი იგება.სამუშაო პროცესს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა

და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, კონსტანტინე კორძაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

ინფრასტრუქტურული პროექტისთვის მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ქვემო ბოლნისში ბეტონის გზის მოწყობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს

სოფელ ქვემო ბოლნისში ბეტონის გზის მოწყობის მეორე ეტაპი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, 1500 გრძივ მეტრზე ბეტონის გზა, ხოლო 700 გრძივ მეტრზე სანიაღვრეები მოეწყობა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ადგილზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან კონსტანტინე კორძაძესთან ერთად გაეცნო.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 646 464 ლარს შეადგენს. ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი სოფელში გასულ წელს დასრულდა.

„ქვემო ბოლნისში შიდა გზების მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე 700 გრძივ მეტრზე სანიაღვრეები კეთდება, ხოლო 1500 გრძივ მეტრზე ბეტონი იგება. ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა პრიორიტეტულია და ამ მხრივ, ჩვენ, ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

სოფელ ნახიდურში 600 გრძივ მეტრზე ასფალტის საფარი დაიგო

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან,

კონსტანტინე კორძაძესთან ერთად, ნახიდურში, სოფლის შიდა ცენტრალურ გზაზე, ასფალტის დაგების დასრულებულ სამუშაოებს გაეცნო.

ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, სოფელში 600 გრძივ მეტრზე ასფალტის საფარი დაიგო და სანიაღვრეები მოეწყო. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 272 988 ლარი შეადგინა.

„სოფელ ნახიდურში კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, 600 გრძივ მეტრზე ასფალტის საფარი დაიგო და სანიაღვრეები მოეწყო. ჩვენი ამოცანაა მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლებში, გზები სწრაფად მოვაწესრიგოთ. ამ მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, უკვე არაერთი პროექტი განვახორციელეთ. ვფიქრობ, მოწესრიგებული გზები მუნიციპალიტეტის განვითარებაზე უდავოდ დადებითად აისახება“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

რა ეტაპზეა და როგორ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლაში

ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლას 2020 წლის 10 ნოემბრიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება. სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო მოსწავლეები ქალაქის ორ სკოლაში არიან გადანაწილებულები. ისინი საკუთარ სკოლას 2021-22 სასწავლო წლის მეორე სემესტრში დაუბრუნდებიან. 800 მოსწავლეზე გათვლილი ისტორიული შენობა, რეაბილიტაციის შემდეგ, ევრო სტანდარტებს დააკმაყოფილებს. რა ეტაპზეა და როგორ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლაში ვესაუბრეთ სკოლის დირექტორს ირმა წაქაძეს

-ქალბატონო ირმა, პირველ რიგში მოკლედ მოგვიყევით თქვენი სკოლის ისტორია...

-ჩვენი სკოლის ისტორია იწყება 1942 წლიდან, ყველაზე კარგად ის ქალბატონმა ლია ხურცილავამ, 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში ,,ჩვენი სკოლა" გადმოსცა. მიუხედავად იმისა, რომ მას რამოდენიმეჯერ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი - სკოლის თავდაპირველი, ისტორიული ფასადი არ შეცვლილა.

-რამდენჯერ ჩაუტარდა სკოლას სრული, კაპიტალური რემონტი?

-რაც შეეხება კაპიტალურ რემონტს სკოლას არსებობის მანძილზე რამდენჯერმე ჩაუტარდა, ეს იყო დირექტორების: მარიამ ელიაურის, თენგიზ მეტრეველის და ლია ხურცილავას დირექტორობის დროს, შემდეგ კი ქეთევან დადვანის მოვალეობის შესრულების დროს. ამ ეტაპზე დაახლოებით მე-5, კაპიტალური რემონტია. პირველი რემონტის, დროს სკოლის მხოლოდ წინა ფასადი იყო და მიემატა გვერდითი ფასადები.

-როგორც ვიცით, ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, მოგვიყევით როდის და რომელი პროექტის ფარგლებში დაიწყო რემონტი?

-პროექტს ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფონდი, ჩატარდა ტენდერი, რისთვისაც დაახლოებით გამოიყო 4000500 ლარი (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. რემონტი დაიწყო 2020 წლის 10 ნოემბერს. სკოლა საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს, დაბზარული იყო კედლები, იყო ბათქაშის ჩამოცვენის შემთხვევები, დაობდა სააქტო და სპორტული დარბაზების კედლები. საჭიროებიდან გამომდინარე, მივმართე ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და სამინისტროს, სადაც ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ არ შეცვლილიყო სკოლის ფასადი.

-რა ეტაპზე არიან ამჟამად, მოგვიყევით დეტალურად...

-სარემონტო სამუშაოები კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. მთლიანად შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა, უკანა ფლიგელის თითქმის ნახევარი დაეთმო საპირფარეშოებს, რომელიც ექვემდებარება ევროპულ სტანდარტებს, ასევე საკლასო ოთახებს შორის ტიხრები მოიხსნა და გაფართოვდა, მთლიანად გამოიცვალა სკოლის კარ-ფანჯარა და სახურავი. მიმდინარეობს შიდა კოსმეტიკური რემონტი. მთავარმა ინჟინერმა საკლასო ოთახების შესაღებად ფერების არჩევანი გვანდო, თუმცა გადაწყვეტილებას ჩვენი სკოლის ფეისბუქ გვერდზე, სკოლის მოსწავლეების გამოკითხვის შემდეგ მივიღებთ, რომ მათთვის სასიამოვნო და კომფორტული იყოს სკოლაში სწავლა.

-შშმ და სსმ პირებისთვის იქნება თუ არა სკოლა ადაპტირებული, ამ მიმართულებით რა სამუშაოები შესრულდა?

-რაც შეეხება შშმ და სსმ პირებს, მათთვის სკოლა მთლიანად ადაპტირებულია, სკოლაში დამონტაჟდება ლიფტი. ასევე იყო და კიდევ უფრო გაფართოვდება ოთახი სსმ მოსწავლეებისთვის და მათთვის იქნება ასევე ადაპტირებული საპირფარეშოები. შშმ პირებისთვის სკოლა მთლიანად იქნება ადაპტირებული.

- როგორც ვიცით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო სველი წერტილების მონტაჟს...

-როგორც მოგეხსენებათ, სველი წერტილები ევროპული სტანდარტებით კეთდება, აბსოლუტურად ცალ-ცალკე იქნება: მანდატურებისთვის, პედაგოგებისთვის, უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის, ბიჭებისთვის, გოგონებისთვის, უმცროსი კლასის მოსწავლეებისთვის, ანუ მთლიანად, ყველა საფეხურის მოსწავლეები ცალ-ცალკე საპირფარეშოებით ისარგებლებენ.

-ზამთრის სეზონზე რა საშუალებებით გათბება სკოლა?

-თავდაპირველად გათბობის მონტაჟს აპირებდნენ იატაკის ქვეშ, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს და ისევ კედლის ცენტრალური გათბობა დამონტაჟდება.

-მოეწყობა თუ არა სკოლაში ეგრეთწოდებული ბუფეტი, სასადილო ოთახი?

-სკოლაში ბუფეტი აუცილებლად იფუნქციონირებს, იქნება უფრო დიდ ფართობზე, ძალიან ნათელი და ლამაზი სასადილო, ცალკე სამზარეულოთი, ასე რომ, მოსწავლეებისთვის ძალიან კომფორტული იქნება სკოლის სასადილო.

-როგორი იქნება სკოლის გარე პერიმეტრი?

-რაც შეეხება სკოლის გარე პერიმეტრს, აქაც ძალიან დიდი სამუშაოები იქნება შესრულებული, სკოლის ეზოში დაიგება ასფალტის საფარი, გამოიცვლება კიბის საფეხურები, მთლიანად შეიცვლება ღობე, სტადიონის მხარეს გაკეთდება მცირე მინი სტადიონი. შეგახსენებთ, რომ ჩვენი სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა სპორტულ ღონისძიებებში წარმატებებით. იმედია სამომავლოდაც ეს ტრადიცია გაგრძელდება.

-თქვენი სკოლის აღსაზრდელები როდის შეძლებენ მშობლიურ სკოლაში სწავლას?

-ხელშეკრულებით სკოლა უნდა გადმოეცათ 2021 წლის 10 ოქტომბერს, პანდემიაზე გამოცხადებული დასვენებების გამო, გადაიწია თარიღმა და სკოლა 2022 წლის იანვარში ჩაგვბარდება. სკოლის აღსაზრდელებს იმედია მეტი ლოდინი აღარ მოუწევთ და მეორე სემესტრს გააგრძელებენ მშობლიურ სკოლაში.

-როგორია თქვენი მოლოდინები?

- გვაქვს ძალიან კარგი მოლოდინები, რა თქმა უნდა სასიამოვნო იქნება ყველასთვის, რეაბილიტირებული და ლამაზი სკოლის ხილვა. გარემონტებულ და ლამაზ სკოლაში, მაღალი იქნება სწავლის ხარისხი, მოსწავლეების მონდომება აბსოლუტურად ყველა დარგში აისახება.

-რას ეტყოდით მოსწავლეებს და მათ მშობლებს?

-მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მექნება თხოვნა, გარემონტებულ სკოლას სჭირდება დიდი პასუხისმგებლობით მოვლა-პატრონობა. ყველა უნდა გაუფრთხილდეს საკლასო ოთახს, მთლიანად სკოლის შენობას, როგორც სახლში, საკუთარ ნივთებს უფრთხილდება, ისე მოგვიწევს უკვე ახალი გარემონტებული სკოლის გაფრთხილება.

ახალ სკოლაში უკვე ბევრ ახალ პროექტებს გპირდებით, ბევრად საინტერესო იქნება სასკოლო ცხოვრება, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის. ვფიქრობ, ახალი სასწავლო წლიდან შევქმნა მშობლების საინიციატივო ჯგუფი, სადაც მოხდება იდეების გაცვლა. პირდაპირ მინდა ვუთხრა მშობლებს, სკოლა არის მათ გვერდზე და ის სამკუთხედი, რომელიც შედგება მოსწავლის, სკოლის და მშობლისგან, უფრო გავამყაროთ ურთიერთობა და მივაღწიოთ იმ მიზანს, რასაც განათლების სამინისტრო უკვეთავს სკოლას.

ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ნამდვილი ტოლერანტული მოქალაქეები, რომლებიც არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ უკვე საერთაშორისო ასპარეზზე მოიკიდებენ ფეხს, ჩვენ სკოლას აქვს ამის რესურსი. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გამძლეობისთვის, რომ არ გვიღალატეთ და ბოლომდე ჩვენს გვერდით იდექით. ნამდვილად დაფასდება თქვენი მოთმინება, ჩვენ შევდივართ გალამაზებულ, გაახალგაზრდავებულ და ძალიან კომფორტულ სკოლაში. 2022 წელს სკოლას უსრულდება 80 წელი და ამ მრგვალ თარიღს ნამდვილად ღირსეულად უნდა შევხვდეთ. სკოლის საიუბილეო საღამომდე მთელი რიგი პროექტები ჩატარდება. მინდა, რომ ყველა ოჯახმა, სკოლის დამთავრების აღმნიშვნელი ძველი ფოტოსურათები მოიძიოს და სკოლის დირექციას მოგვაწოდოს, შემდეგ კი ამ ფოტოებისგან შევქმნით ბუკლეტს, რომელსაც ერქმევა, „ჩვენ დავამთავრეთ ბოლნისის პირველი სკოლა".

ნონა ხუზმიაშვილი

ბოლნისში სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი გაიხსნა

,,აღმოაჩინე სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობები"- ამ დევიზით, ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბაზაზე სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ახალი ცენტრი ოფიციალურად გაიხსნა, რომლის მიზანია დასაქმების მსურველთა ხელშეწყობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება – გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით, ცენტრი მსურველებს საშუალებას აძლევს გაიარონ სასწავლო პროგრამები,ტრენინგები და სემინარები.სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის პრეზენტაციას საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ,,უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" პროექტი სამწლიანია, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად ახორციელებს. ცენტრში რეგისტრაცია უკვე დაწყებულია, მომსახურებით სარგებლობა კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს

ქვეყანაში გართულებული ეპიდვითარების ფონზე, ქალაქ ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში, მოქალაქეების საყოველთაო ვაქცინაცია მიმდინარეობს. იმუნიზაციაში მონაწილეობა მიიღო ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, რომელმაც ვაქცინის მეორე დოზა ოჯახის წევრებთან ერთად გაიკეთა.

მასობრივი ვაქცინაციის პროცესს, საჯარო მოხელეები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლები და მოქალაქეები შეუერთდნენ.

შეგახსენებთ, რომ ვაქცინაზე რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც ელექტრონული პორტალის - booking.moh.gov.ge მეშვეობით, ასევე პირდაპირ კლინიკაში ვიზიტის დროსაც. გარდა ამისა, ვიზიტის დასაჯავშნად, მოქმედებს ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის სპეციალური ნომერი 144-3.

„პანდემიის დამარცხების ერთადერთი ეფექტური საშუალება ვაქცინაციაა. სხვის სიცოცხლეს საფრთხე რომ არ შევუქმნა, დღეს ვაქცინის მეორე დოზა გავიკეთე, ახლა უკვე სრულად ვაქცინირებული ვარ. ვაქცინაციის პროცესში ჩემი ოჯახიც, მათ შორის ჩემი მშობლებიც ჩაერთვნენ. გასულ წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მკაცრ საკარანტინო პირობებში მოუწია ცხოვრება და ბოლნისელებმა, ალბათ, ყველაზე კარგად ვიცით, თუ რა საშიშია კორონავირუსი, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოქალაქეები სიცოცხლის დასაცავად ვაქცინაციაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ. მეგობრებო, ვაქცინა გვიცავს და ეს არაერთი სამეცნიერო კვლევითაა დადასტურებული. მსურს, მადლობა გადავუხადო ბოლნისის ცენტრალურ კლინიკას, მის თითოეულ თანამშრომელს, ვაქცინაციის პროცესში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის“. - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

გამოცხადებული ტენდერი და დაგეგმილი სამუშაოები, რომელიც სასმელი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს

ზაფხულის ცხელი დღეების დადგომასთან ერთად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობას სასმელი წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. აღნიშნული საკითხის მოგვარებაში აქტიურადაა ჩართული, როგორც ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, ასევე ბოლნისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი დეპუტატი. გოგი მეშველიანმა საკითხის მოგვარება პლენარულ სხდომაზე პრემიერ-მინისტრს სთხოვა, რასაც რეაგირება მალევე მოჰყვა და ქალაქ



ბოლნისში „ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა. შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის 35 სოფელს, დაბა კაზრეთსა და დაბა თამარისს სასმელი წყლით მომარაგებას „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის, ბოლნისის სერვის ცენტრი ოპერირებს, გაზეთი „ბოლნისი“ აღნიშნულ საკითხზე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის უფროსს ნიკა ვასაძეს ესაუბრა, რომელმაც პრობლემის მიზეზებზე და გამოსწორების გზებზე ისაუბრა.

„ქალაქი ბოლნისი, დაბა კაზრეთი და 20 სოფელი, სასმელი წყლით ყარაბულახის (საყაფლანოს) სათავე ნაგებობიდან მარაგდება. ცხელი პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით და ტემპერატურის მკვეთრი მატების გამო, საგრძნობლად იზრდება მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის მოხმარება. ამას გარდა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში არ არის სარწყავი სისტემები, რის გამოც ადგილი აქვს სასმელი წყლის არამიზნობრივ მოხმარებას (მოსახლეობა წყალს იყენებს ბაღ- ბოსტნებისა და კუთვნილი ნაკვეთების მოსარწყავად). რაც უარყოფითად აისახება ქ. ბოლნისისა და დაბა კაზრეთის წყალმომარაგებაზე, საბოლოო ჯამში, იქმნება სასმელი წყლის დეფიციტი. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, კომპანიამ ადგილზე დეტალურად შეისწავლა ვითარება და მიმდინარე წლის 14 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების საიტზე (spa.ge) გამოცხადდა ტენდერი წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის პროექტირებასა და მშენებლობაზე. კერძოდ: სათავე ნაგებობის მაგისტრალურ მილსადენზე არსებული ჩამკეტ-მარეგულირებელი არმატურისა და ვანტუზების, ქრეში - ბოლნისის მაგისტრალის ამორტიზირებული მონაკვეთის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის: ტანძია, იწრია, ძველი ქვეში, რატევანი, ძეძვნარიანი, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ქ. ბოლნისის წყალმომარაგებაზე. წინადადებების მიღება დაიწყება 31 ივლისს და დასრულდება 5 აგვისტოს. ტექნიკური დავალება მოიცავს: ყარაბულახის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას; ყარაბულახი-კაზრეთის მაგისტრალზე არსებული ჩამკეტ - მარეგულირებელი არმატურისა და ვანტუზების შეცვლას, ქრეში- ბოლნისის მაგისტრალის ამორტიზირებული მონაკვეთის რეაბილიტაციას; სოფლების- ტანძია, იწრია, ძველი ქვეში, რატევანი, ძეძვნარიანი - რკინა- ბეტონის რეზერვუარების მშენებლობას, შიდა - გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციას და ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძების მოწყობას. კომპანიის ინტერესია, რომ მოსახლეობამ უმოკლეს ვადებში იგრძნოს გაუმჯობესება წყალმომარაგების კუთხით, ამიტომ პრიორიტეტია დებეტის გაზრდა და აქედან გამომდინარე, პირველი რიგის პრიორიტეტად დაისახა სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, მაგისტრალზე არსებული ჩამკეტ-მარეგულირებელი არმატურის ვანტუზების და ამორტიზირებული მონაკვეთის შეცვლა, რაც შეამცირებს ტექნიკურ დანაკარგს და პირდაპირ აისახება კომპანიის აბონენტებზე წყალმომარაგების გაუმჯობესებით. აღნიშნული სამუშაოების დასრულება იგეგმება 2022 წლის ივნისის თვეში“, განაცხადა ნიკა ვასაძემ.

მწვანე ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდები

ბოსტნეულის მწვანე ბაღლინჯო (Nezara viridula L) წარმოადგენს მრავალი მცენარეული კულტურის მავნებელს. საქართველოში ეს მწერი დიდი ხანია გავრცელებულია, მაგრამ ინფორმაცია მისი მავნებლობის შესახებ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის, მეცნიერებისათვის და მოსახლეობისათვის, ამ დრომდე ნაკლებად იყო ცნობილი. როდესაც საქართველოში აზიური ფაროსანა გავრცელდა, მოსახლეობას ბოსტნეულის მწვანე ბაღლინჯო აზიური ფაროსანა ეგონა, იმიტომ რომ ეს ორი სახეობა ერთი და იგივე ოჯახის წარმომადგენელია და ძალიან გვანან ერთმანეთს, თუმცა არსებობს ფერში და აგებულებაში განსხვავება.

რა ღონისძიებები ტარდება და როგორ ვებრძოლოთ აღნიშნულ პრობლემას, ამ საკითზე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ბოლნისის ოფისის ფიტოსანიტარი ლია ბეჟანიშვილი გვესაუბრება:

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აზიური ფაროსანას აღმომჩენი დამაგრებული ფერომონების განახლება, რომლის მეშვეობითაც, მხოლოდ სოფელ ფოლადაურში და დაბა კაზრეთში აღმოჩნდა აზიური ფაროსანა, ისიც მცირე რაოდენობით. ფაროსანას ერთ-ერთი სახეობა ე.წ. მწვანე ფაროსანა, ბოსტნეულ კულტურებს ძალიან აზიანებს, განსაკუთრებით პომიდორს, ჩხვლეტს თავისი პირის აპარატით, შიგ უშვებს ნერწყვს, რის შედეგადაც, ის ადგილი თეთრდება და პროდუქტს კვებითი ღირებულებაც და შესახედაობაც ეკარგება. ასევე იგი აზიანებს ყველა მწიფე ხილსაც და ბოსტნეულსაც, რაც ჩვენს ბაღებში დამწიფდება.

-რატომ არ ხდება მწვანე ფაროსანას წამლობა?

-მოსახლეობისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მავნებელი დააზიანებს მის მოსავალს, საქმე იმაშია, რომ აზიური ფაროსანას მოსპობა, მისი ბიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე ძალიან რთულია. მწერის გარეკანი არის უხეში და სჭირდება ძლიერი წამლობები. საბედნიეროდ, ის ფაროსანა, რომელიც ჩვენს ბაღებში და ბოსტნებში არის გავრცელებული, მისი ზედა კანის საფარველი თხელია, ამიტომ მისი მოსპობა ნებისმიერი ინსექტიციდით შეიძლება, რომელიც შეგიძლია იყიდოთ შხამქიმიკატების მაღაზიაში, ყიდვისას ყურადღება გაამახვილეთ ვარგისიანობის ვადაზე, ნახეთ საიდან გისხამთ გამყიდველი წამალს დამხოლოდ ამის შემდეგ



გამოიყენეთ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბოლნისის ოფისს, მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე.

დების მარანი და გაგრძელებული ოჯახური ტრადიცია

„მამისეული“ - ასე ჰქვია ღვინოს, რომელიც სოფელ ხატისოფელში მცირე ტიპის საოჯახო მარანში მზადდება. დებმა მამის მიერ დაწყებული საქმე დედასთან ერთად გააგრძელეს და ტრადიციას ახალი დატვირთვა შესძინეს. მათ ღვინის დაყენება -წარმოება ძველი ტრადიციული მეთოდით ქვევრში დაიწყეს, მამისეულმა ხის კასრებმა და ძველმა ქურჭელმა, ეზოში საჩვენებელი დატვირთვა მოირგო. განსხვავებული პროფესიისა და დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, დები ხშირად ცდილობენ სოფელში ჩასვლასა და დაგეგმილი სამუშაოების ჩატარებას. მიუხედავად იმისა, რომ პროფესია მეღვინეობა საკმაოდ რთულია, (წლების წინ მამაკაცის საქმედ ითვლებოდა) ნელ-ნელა, ამ მოძველებულმა სტერეოტიპმა რღვევა დაიწყო და მეღვინეობა-მევენახეობას უკვე ბევრი ქალი მისდევს. დებს ამ სტერეოტიპთანაც მოუწიათ გამკლავება, იყო სიძნელეები, თუმცა შეძლეს და მალევე აუღეს ალღო. ხატისოფელში მოყვანილი ყურძნით „მამისეულთან“ ერთად, დებმა ექსპერიმენტული ღვინის „თანუნის“ ჩამოსხმაც დაიწყეს. მარანი კი, რომელსაც არაერთი ქართველი თუ უცხოელი სტუმარი სტუმრობს, მალე ტურისტულ დატვირთვასაც შეიძენს.

,,გაზეთი ბოლნისი'' გიამბობთ, თუ რა გზა გაიარეს თინათინ და თამარ მოსიაშვილებმა მეღვინე დების სტატუსამდე და რა სირთულეებთან მოუწიათ გამკლავება.

დავიწყოთ თავიდან, როგორია დების მიერ გაგრძელებული ტრადიცია?

-პირველ ყოვლისა, ძალიან დიდი მადლობა ჩვენი მარნითა და საქმიანობით

დაინტერესებისთვის. მართალია თბილისში დავიბადეთ, აქ გავიზარდეთ და დღესაც ძირითადად თბილისში ვცხოვრობთ, მაგრამ სოფელ ხატისოფელში გვაქვს მამისეული სახლი, ეზო და ვენახი. მთელი ბავშვობა აქ გვაქვს გატარებული. მამაც, ზაურ მოსიაშვილი, ყოველ შაბათ-კვირას სოფელში იყო. რაც თავი გვახსოვს, ჩვენი ოჯახი მისდევდა მევენახეობა-მეღვინეობას. ჩვენც მეტ-ნაკლებად ჩართული ვიყავით ამ პროცესში, ბავშვობაში ხანდახან ვენახის სამუშაოებიც შეგვისრულებია. თუმცა, სანამ მამა ცოცხალი იყო, ჩვენი ჩართულობა, ძირითადად მეგობრებთან ერთად, რთველში გამოიხატებოდა. ვწურავდით ყურძენს და მივდიოდით.

მამის გარდაცვალებამ სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა: ან უნდა გაგვეყიდა ვენახი, ან გაგვეგრძელებინა საქმე, რომელიც ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებდა. თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ამ სფეროში ნაკლებად გვქონდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვეგრძელებინა ოჯახური ტრადიცია. ვიცოდით, სირთულეები იქნებოდა, გაგვიჭირდებოდა რომ არა დედის თანადგომა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვენახის მოვლაში ძალიან გვეხმარება კარის მეზობელი ვაჟა მაღრაძე. წარმოების პროცესში კი აქტიურადაა ჩართული ჩვენი სიძე, დავით მუხიგულაშვილი.

-რამდენადაც ცნობილია, ძირითადად, სხვა სფეროში მოღვაწეობთ.

-თამარი აღმოსავლეთმცოდნეა, მე გიდი, გეოგრაფი და ჟურნალისტი,

ორივე ვმუშაობთ უნივერსიტეტში და ვეწევით პედაგოგიურ საქმიანობას. ამ ეტაპზე, ჩვენს საქმიანობასთან ერთად, ვცდილობთ მივხედოთ სოფელს, ვენახს, ვაწარმოოთ ღვინო და გავაგრძელოთ ოჯახური ტრადიცია.

-ოჯახურმა ტრადიციამ ბიზნესის სახე როგორ მიიღო?

-სანამ მამა ცოცხალი იყო, ყურძენს დიდ „ჩანში“ ვწურავდით და ღვინოს მუხის კასრებში ვაყენებდით, ამ ინვენტარს სერიოზული მოვლა სჭირდებოდა. როდესაც გადავწყვიტეთ მამისეული ტრადიციის გაგრძელება, შევაკეთეთ ინვენტარი.

ამავე დროს, ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, ქვევრების შეძენა და ამ ტრადიციის აღდგენა. სწორედ ამ დროს, 2016 წლის გაზაფხულზე, გამოცხადდა კონკურსი პროგრამაში „აწარმოე საქართველოსთვის“. გავაგზავნეთ საპროექტო იდეა, სადაც მითითებული გვქონდა, რომ არ ვიყავით გამოცდილი მეღვინეები, მაგრამ გვინდოდა ოჯახური ტრადიციის გაგრძელება. გავიარეთ იდეების, ბიზნესგეგმების, გასაუბრების ეტაპები და მივიღეთ პირველი დაფინანსება. შედეგად ჩავყარეთ ქვევრები და შევიძინეთ ინვენტარი.

„მამისეული მარნის“ პირველი ღვინო, მის მიერ ბოლო მოსავლით მოწეული და დაყენებული იყო, რამდენიმე ბოთლი კიდევ გვაქვს შემორჩენილი.

რეალურად ღვინის წარმოება დავიწყეთ 2017 წლიდან.

-დღეს რა ღვინოებს აწარმოებთ?

ამ ეტაპზე გვაქვს ორი ღვინო - რქაწითელი და თავკვერი. ეტიკეტებსაც რომ დახედოთ, ნახავთ განსხვავებას. რქაწითელის ეტიკეტზე ჩვენი სოფლის წმინდა გიორგის ტაძარი და ზვრებია გამოსახული, ღვინოც ტრადიული წესით, ქვევრში მზადდება. მოკლედ ჩვენი რქაწითელი ტრადიციების გაგრძელებას გვიჩვენებს.

რაც შეეხება „თანუნის“, მის ეტიკეტზე ტანგოს მოცეკვავე გოგოა გამოსახული, ეს ექსპერიმენტული ღვინოა, მოცეკვავე გოგოს ღვინო.

-რატომ „თანუნი“?

-იმიტომ, რომ თანუნის და თინუნის გვეძახდნენ ჩვენი დისშვილები: გვანცა და გიო.

-რა რაოდენობის ღვინოს აწარმოებთ?

-ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ გვაქვს დიდი რაოდენობით ღვინო. გვაქვს 200-300 ლიტრი „თავკვერი“ და 1000-1200 ლიტრი რქაწითელი.

-სად ხდება ღვინის რეალიზაცია?

-ჩვენი ღვინოები დევს თბილისის რამდენიმე ღვინის მაღაზიაში: „ნინო მერის ღვინის მაღაზია“, „ვაინ მარკეტი“...

წელს პირველი პარტია „თანუნი“ გავუშვით საფრანგეთშიც.

-რა სირთულეებს აწყდებით, როგორც ქალი მეღვინეები?

-მთავარი ის იყო, რომ ბევრი კურსის გავლა დაგვჭირდა. დღესაც სისტემატიურად გავდივართ სხვადასხვა კურსს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუდმივად ვგრძნობთ თანადგომას მეღვინე მამაკაცებისგან. მათ შორის ბოლნისელი მეღვინეებისგან.

-რა გეგმები გაქვთ?

-უახლოეს პერიოდში გვინდა მარანს მივცეთ ტურისტული სახე. ისე, რომ ბოლნისის „ღვინის გზის“ მარნებშიც შევიდეს და ტურისტებისთვისაც საინტერესო ობიექტი გახდეს.

- მადლობა მინდა გადაგიხადოთ საინტერესო საუბრისთვის და თბილი მასპინძლობისთვის, გაზეთ „ბოლნისის“ სახელით წარმატებებს გისურვებთ.

მაგდა დევნოზაშვილი

თ ა მ ა რ ი ს თ ვ ი ს !!

11 წლის თამარ ჯაჭვლიანს თქვენი დახმარება სჭირდება! მას ცოტა ხნის წინ მწვავე ლეიკემიის დიაგნოზი დაუდგინდა, ამჟამად მკურნალობას თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში გადის. ხანგრძლივი პროცედურები საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. გთხოვთ გავერთიანდეთ თამარისთვის და გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე!

მიმღების ანგარიშის ნომერი: #GE60BG0000000498833773.

მიმღები: დედა - თებროლე ჯანაძე

პ/ნ 10001002118

საქართველოს ბანკი

GE60BG0000000498833773

თიბისი ბანკი

GE97TB7182645061100095

რა უნდა ვიცოდეთ ბოტულიზმის შესახებ!

რა დაავადებაა ბოტულიზმი?

_ ბოტულიზმი მეტად მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომელიც უვითარდება ადამიანს იმ საკვები პროდუქტის (კონსერვების, ძეხვის, შებოლილი თევზის) მიღების შედეგად, რომელიც შეიცავს ბაქტერიულ ტოქსინთა შორის ყველაზე ძლიერ ეგზოტოქსინს (ბოტულოტოქსინი).

რა ნიშნები ახასიათებს და რამდენად საშიშია იგი ადამიანისათვის?

_ ბოტულიზმით დაავადების დროს დასაწყისშივე ყურადღებას იპყრობს დარღვევები მხედველობის მხრივ.

_ ავადმყოფი ბუნდოვნად და გაორებულად ხედავს, თითქოს ბურუსშია. კითხვისას ასოები იფანტება. თვალების მოძრაობა შეზღუდულია ან შეუძლებელი.

_ მხედველობის მოშლასთან ერთად ვლინდება ყლაპვის და მეტყველების მოშლა.

_ ავადმყოფი საკვებს ვერ ყლაპავს, უჭირს ენის მოძრაობა. უჭირს ლაპარაკი, გაურკვეულად ლუღლუღებს. ავადმყოფს აქვს თავბრუსხვევა, კუნთების სისუსტე, მუცლის შებერილობა, პირის სიმშრალე.

_ დაავადების დროული და სათანადო მკურნალობის გარეშე მდგომარეობა ძალიან მძიმდება და ავადმყოფი იღუპება სუნთქვისა და გულის გაჩერებით.

როგორ ხდება საკვები პროდუქტის დაბინძურება ბოტულიზმის მიკრობით ?

_ ბოტულიზმის გამომწვევი ბინადრობს მსხვილ და წვრილფეხა რქოსანი საქონლის, ღორის, ცხვრის, თევზების, ფრინველების ნაწლავებში. გამოიყოფა განავალთან ერთად და ხვდება ნიადაგში, სადაც იგი გარდაიქმნება გარემოში მეტად გამძლე ფორმად (სპორად).

როგორ ხდება ბოტულიზმის გამომწვევის მოხვედრა კონსერვში?

_ბოტულიზმის გამომწვევით დაბინძურებული ნიადაგით ინფიცირდება საკვები პროდუქტები ბოსტნეული,ხილი,სოკო,მარცვლეული, წყალი, და სხვა. საკვებ პროდუქტებში გამომწვევი მრავლდება და გამოიმუშავებს ძლიერ ეგზოტოქსინს, მხოლოდ უჟანგბადო პირობებში. ამიტომ ბოტულიზმით ადამიანი ავადდება კონსერვების, ძეხვის, შაშხის, შებოლილი, დამარილებული თევზის ჭამის შედეგად, თუ ეს პროდუქტები დაბინძურებული იყო ცხოველთა ნაწლავების შიგთავსით ან გამომწვევის შემცველი ნიადაგით და მათი დამუშავებისას არ იყო დაცული შესაბამისი სანიტარული წესები. დაინფიცირებული პროდუქტი იცვლის ფერს, იძენს თავისებურ სუნს, კონსერვები აირების დაგროვების შედეგად ამოიბურცება (ბომბაჟი). ამობურცული კონსერვის, შეცვლილი სუნისა და ფერის პროდუქტის საკვებად გამოყენება არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ავიცილოთ ბოტულიზმი თავიდან?

_ ბოტულიზმის თავიდან აცილების ძირითადი ღონისძიება არის ის, რომ საკვები პროდუქტები დაკონსერვების წინ ძალიან კარგად უნდა გაირეცხოს, რათა სრულად განთავისუფლდეს მიწისა და /ან ნაწლავების შიგთავსისაგან, რომელიც შეიცავს ბოტულიზმის გამომწვევს. საიმედო მეთოდად ითვლება სათანადო სტერილიზაცია მაღალი წნევის და ტემპერატურის (120) პირობებში, რომლის მიღწევა შესაძლებელია ქარხნული წესით კონსერვების დამზადებისას. ბინის პირობებში ჩატარებული სტერილიზაციით კი თითქმის შეუძლებელია მიღწეულ იქნას გამომწვევის გამძლე ფორმების სრული (სპორების) მოსპობა. ამიტომ ბინის პირობებში ზუსტად უნდა იქნას დაცული პროდუქტის დამუშავების სათანადო წესები (პროდუქტი უნდა გაირეცხოს ზედმიწევნით კარგად). მოხმარების წინ დაკონსერვებული პროდუქტი თერმულად უნდა დამუშავდეს 20-30 წუთის განმავლობაში.

ბოლო პერიოდში ბოტულიზმით დაავადების მიზეზი უმეტესად შინ დამზადებული კონსერვებია.

_ ბოტულიზმზე საეჭვო ყველა ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში და ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ავადმყოფთან ერთად მიიღეს საეჭვო ინფიცირებული პროდუქტი უკეთებენ ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატს.

გახსოვდეთ!!!

არ უნდა შეიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებილილი თევზი(სათალი) შაშხი, ძეხვი და კონსერვები;

კონსერვების შინაურ პირობებში დამზადებისას შეარჩიეთ ახალი პროდუქტები და გულმოდგინედ გარეცხეთ, თავი შეიკავეთ ისეთი პროდუქტების ჰერმეტულად დაკონსერვებისაგან, რომელთა გარეცხვის დროს ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა დიდია. მუავე კიტრი, პომიდორი ჯობს დავამზადოთ ტრადიციულად, მოხუფვის გარეშე;

საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები შეინახეთ ცივ ადგილას;

არ უნდა იხმაროთ საკვებად შებერილი('' ბომბაჟიანი'') კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად უნდა აადუღოთ ან კარგად შეწვათ არანაკლებ 15 წუთისა, ასევე თერმულად უნდა დამუშავდეს წვრილ ნაჭრებად (სისქით არაუმეტეს 1სმ) დაჭრილი ყველა საეჭვო პროდუქტი.

ბოტულიზმის დაავადების შემთხვევები ბოლნისის მუნიციპალიტეტშიც ფიქსირდება.

2018 – 2019 წლებში ბოტულიზმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის იანვარში ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა ბოტულიზმის ორი შემთხვევა. გამომწვევი მიზეზი ორივე შემთხვევაში იყო სახლის პირობებში დამზადებული პომიდვრის მარინადი. რაც დაადასტურა კერაში ეპიდემიოლოგიურმა და ბაქ.ლაბორატორიულმა გამოკვლევამ.

ლეტალობას ადგილი არ ჰქონია.

2021 წელს ბოტულიზმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

მზია დანელიას საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა

მესამე საჯარო სკოლის დირექტორს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სიგელი და სამკერდე ნიშანი გადაეცა. რამდენიმე ათეული წელი საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული მოღვაწეობისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგს, მზია დანელიას, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა იამზე სვანიძემ დამსახურებული ჯილდო გადასცეს. შეხვედრის დროს, ასევე ისაუბრეს სკოლის ინფრასტრუქტურის საკითხებზე და ქალბატონ მზიას მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს. მზია დანელია პედაგოგიურ მოღვაწეობას 1979 წლიდან ეწევა, თავდაპირველად ის ქალაქ ბოლნისის N-1 საჯარო სკოლაში იწყებს მუშაობას, რამდენიმე ათეული წელია, რაც მესამე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს.

გოგი მეშველიანი, მაჟორიტარი დეპუტატი:

-მინდა ქალბატონ მზიას მივულოცო მრავალწლიანი შრომის დაფასება და კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო პროფესიულ საქმიანობაში. დამსახურებული ჯილდო მუნიციპალიტეტის მერთან, დავით შერაზადიშვილთან და რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, იამზე სვანიძესთან ერთად გადავეცი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შერაზადიშვილი:

-ჩვენი მუნიციპალიტეტის გამორჩეულ პედაგოგს, N3 საჯარო სკოლის დირექტორს, მზია დანელიას, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. 42-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისას, მან არაერთი თაობა აღზარდა, მე-3 სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და ახალი თაობის მასწავლებლებისთვის მისაბაძ პედაგოგად იქცა. ვულოცავ მზია მასწავლებელს დამსახურებული წოდების მიღებას და პროფესიულ საქმიანობაში კვლავ წარმატებას ვუსურვებ. თითოეული ბოლნისელი ამაყობს მზია მასწავლებლით და ყველა იმ პედაგოგით, რომელიც მომავალი თაობის აღზრდაში ძალისხმევას არ იშურებს.

იამზე სვანიძე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი:

-მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამსახურებული მასწავლებლის სიგელი და სამკერდე ნიშანი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა №3 საჯარო სკოლის დირექტორს და ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ მზია დანელიას გადასცეს. მადლობა სამინისტროს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრს. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, დეპუტატს, ყოველთვის ყურადღებით არიან ჩვენი წარმატებების მიმართ, მადლობა მათ დღევანდელი მიღებისთვის.

მზია დანელია, №3 საჯარო სკოლის დირექტორი:

-ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი აღზრდილი მოსწავლეები ყველა სფეროში წარმატებულები არიან, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქალაქის მერს, დეპუტატს და ყველას ჩემი დაფასებისთვის. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ოჯახს, მხარში დგომისთვის, განსაკუთრებით ჩემს კოლექტივს, მესამე საჯარო სკოლას, რომელთანაც მე ჩამოვყალიბდი, როგორც პედაგოგი, როგორც ხელმძღვანელი, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მათგან და მიხარია, მათთან ერთად ქვეყნის საკეთილდღეოდ საქმის კეთება.

აღსანიშნავია, რომ დამსახურებული მასწავლებლის წოდებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი პედაგოგი დაჯილდოვდა, 2019 წელს მე-3-ე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი ქეთევან ხეცურიანი, მიმდინარე წელს კი, ამავე სკოლის დირექტორი, მზია დანელია.

Bolnisidə təlim və məşğulluğun təşviqi mərkəzi açıldı

"Öyrənmə və Məşğulluq Fürsətlərini Kəşf et" - bu şüarla, iş tədris və məşğulluğun təşviqi üçünnmüxtəlif sahələrdə bilik və bacarıqların inkişaf etdirilməsi məqsədi ilə bu gün Bolnisi Xalq Təhsil Mərkəzində yeni bir Təlim və Məşğulluğa Dəstək Mərkəzinin rəsmi açılışı oldu. Mərkəz, müraciət edənlərə təlim proqramları, təlimlər və seminarlar keçirməyə imkan verir. Təlim və Məşğulluğun Təşviqi Mərkəzinin xalqa, təqdimatında özəl sektorun və qeyri-hökumət təşkilatlarının nümayəndələri iştirak etdilər. "Gürcüstanın Regional İnkişafı üçün Potensialın Gücləndirilməsi və İnnovativ Məşğulluq Fürsətləri" layihəsi Gürcüstan Strateji Araşdırmalar və İnkişaf Mərkəzi tərəfindən Gənc Müəllimlər Birliyi və Gürcüstan Vətəndaş İnkişafı Assosiasiyası ilə birlikdə həyata keçirilən üç illik bir layihədir. Mərkəzdə qeydiyyat artıq başlayıb və hər kəs bu xidmətdən istifadə edə bilər.

Kvemo Bolnisi kəndində beton yol çəkilir

Kvemo Bolnisi kəndində beton yol tənzimləmə işlərinin ikinci mərhələsi davam edir. 1500 metr uzunluğunda beton yol, 700 metr uzunluğunda drenajlar inşa ediləcək. İşlər bitdikdən sonra kəndin mərkəzi yolu tamamilə, növbəti mərhələdə isə daxili yollar təmir ediləcəkdir. İnfrastruktur layihəsi, Bölgələrdə İcra Ediləcək Layihələr Fondu və yerli özünüidarəetmə tərəfindən 646.464 lari dəyərində maliyyələşdirilir. Bələdiyyə sədri bu gün kənddə aparılan işlər ilə tanış oldu.

Bolnisi bələdiyyəsində kütləvi peyvəndləmə prosesi davam edir

Ölkədə baş verən mürəkkəb epidemiya fonunda Bolnisi Mərkəzi Klinikasında vətəndaşların universal peyvəndi davam edir. Bolnisi Bələdiyyəsin meri Davit Şerazadişvili peyvənddə iştirak etdi və ailə üzvləri ilə birlikdə peyvəndin ikinci dozasını aldı.

Kütləvi peyvənd prosesinə bu gün dövlət məmurları, Bolnisi Bələdiyyəsinin müxtəlif xidmətlərinin nümayəndələri, məktəbəqədər müəssisələrin əməkdaşları və vətəndaşlar qatılıb.

Xatırlatmaq istərdik ki, peyvəndə qeydiyyat elektron portal - booking.moh.gov.ge vasitəsi ilə, həmçinin klinikaya birbaşa səfər zamanı mümkündür. Əlavə olaraq, ziyarət üçün Vahid Hökumət Qaynar Xəttinin 144-3 xüsusi nömrəsi fəaliyyət göstərir.

"Pandemiyanı məğlub etməyin yeganə təsirli yolu peyvənd olmaqdır. Başqasının həyatına təhlükə yaratmamaq üçün, bu gün ikinci doz peyvənd aldım və indi tam peyvənd oldum. Peyvənd prosesində Ailəm, o cümlədən valideynlərim də iştirak etdilər. Keçən il Bolnisi Bələdiyyəsinin əhalisi ciddi karantin şəraitində yaşamalı idi və Bolnisi xalqı yəqin ki, koronavirusun nə olduğunu ən yaxşı bilir, buna görə də ümid edirəm ki, vətəndaşlarımız həyatlarını qorumaq

üçün mütləq peyvənd alacaqlar. Dostlar, peyvənd bizi qoruyur və bu çoxsaylı elmi araşdırmalarla təsdiq edilmişdir. Peyvənd prosesində yüksək peşəkarlıq göstərdikləri üçün Bolnisi Mərkəzi Klinikasına və hər bir işçisinə təşəkkür edirəm. " - Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili dedi.

Yaşıl parosanayla mübarizə üsulları

Yaşıl parosana (Nezara viridula L) bir çox məhsulun zərərvericisidir. Bu həşərat uzun müddətdir Gürcüstanda yayılmışdır, lakin onun zərərli olması haqqında məlumat kənd təsərrüfatı mütəxəssisləri, elm adamları və əhaliyə indiyə qədər az məlum idi. Asiya parosanası Gürcüstanda yayıldıqda, əhali tərəvəz yaşıl böcəyin Asiya parosanası olduğunu düşündü, çünki bu iki növ eyni ailədəndir rəng və quruluş fərqinə baxmayaraq bir -birinə çox bənzəyir.

Milli Qida Agentliyinin Kvemo Kartli Regional Bölməsinin Bolnisi Ofisinin Fitosanitarı Lia Bejanişvili, görülən tədbirlərdən və bu problemlə necə mübarizə aparacağından bəhs edir:

Bolnisi bələdiyyəsində Asiya parosanasını aşkar edən feromonların gücləndirilməsi davam edir, bunun vasitəsilə Poladauri və Kazreti kəndlərində az miqdarda Asiya parosanası aşkar edilmişdir. Parosana növlərindən biri Yaşıl Parosana adlanır tərəvəz bitkilərinə, xüsusən də pomidorlara çox zərər verir, ağız aparatı ilə sancır, tüpürücək tüpürür, nəticədə o yer ağarır və məhsul həm qida dəyərini, həm də görünüşünü itirir.

- Yaşıl arosana niyə dərmanlanmır?

-Əhaliyə hansı zərərvericinin məhsuluna zərər verəcəyinin əhəmiyyəti yoxdur, fakt budur ki, Asiya parosanasının bioloji vəziyyətinə görə yox edilməsi çox çətindir. Böcəyin örtüyü kobuddur və güclü dərmanlara ehtiyacı var. Xoşbəxtlikdən bağlarımızda və tərəvəzlərimizdə tez-tez



rast gəlinən qırqovulun üst dərisi incə olduğundan bir pestisid mağazasında ala biləcəyiniz hər hansı bir böcək dərmanı ilə öldürülə bilər. Satın alarkən, son istifadə tarixinə diqqət yetirin, satıcı dərmanı haradan verir baxın və yalnız bundan sonra istifadə edin. Bu məsələ ilə əlaqədar olaraq, daha ətraflı məlumat üçün, Bələdiyyənin birinci mərtəbəsindəki Milli Qida Agentliyinin Bolnisi ofisi ilə əlaqə saxlayın.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

„არემჯის“ საერთაშორისო ჯილდო - Leader of the Year გადაეცა

შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის დაჯილდოების რიგით მეათე საიუბილეო ცერემონიაზე, კომპანია „არემჯის“ საერთაშორისო ჯილდო Leader of the Year გადაეცა. კომპანიას ლიდერის სტატუსი, ობიექტურ რანჟირებაზე დაყრდნობით - თანამშრომლების თვიური ანაზღაურებისა და დასაქმებულებზე დანახარჯის კრიტერიუმით მიენიჭა.

“ბევრი ჯილდო მივიღეთ ამ ბოლო დღეების განმავლობაში, თუმცა დღევანდელი ჯილდო - წლის ლიდერი - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს მონაცემები ჩვენს თანამშრომლებს ეხება. ჩვენ ბოლო წლებია, სისტემატურად ვახერხებთ სახელფასო ბადის გადახედვას და საშუალოდ 10% ვუზრდით დასაქმებულებს ანაზღაურებას. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც მოვახერხებთ, ერთი მხრივ, ამ პოზიტიური დინამიკის შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ, ამ მონაცემების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.“ - განაცხადა „არემჯის“ კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მქედლიშვილმა.

ბიზნეს რეიტინგების კავშირი 2003 წელს დაარსდა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რვა ქვეყანას აერთიანებს, მათ შორის 2015 წლიდან საქართველოს. ბიზნეს რეიტინგების კავშირის პარტნიორი 2017 წელს გახდა შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაცია, ამ პერიოდიდან ბიზნეს-კომპანიებს გადაეცემათ ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო Leader of the Year. კომპანიების წარდგენა საერთაშორისო ჯილდოს მისაღებად ხდება ობიექტური რანჟირების საფუძველზე, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, თუ როგორია კომპანიის წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხები.

წლევანდელ ცერემონიაზე საერთაშორისო ჯილდო ჯამში 30 ქართულ და საერთაშორისო კომპანიას გადაეცა. „არემჯიმ“ აღნიშნული ჯილდო უკვე მეორედ მიიღო.

,,არემჯი“ წელსაც აგრძელებს კამპანიას ,,დაისვენე საქართველოში“

კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში, 500-ზე მეტი თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები შეძლებენ ზღვისპირა კურორტ ურეკში დასვენებას.

საგზურები გადაეცათ თანამშრომლებს, რომლებსაც ჰყავთ 4 ან მეტი შვილი და ოჯახები, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ჰყავთ, ასევე ლოტოტრონის პრინციპით თანამშრომლებისთვის დამატებით 100 საგზური გათამაშდა.

დასვენების სეზონი, 15 ივლისს, ურეკში პირველი ნაკადის ჩასვლით გაიხსნა და ორი თვის განმავლობაში კომპანია არემჯის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები შეძლებენ საზღვაო კურორტზე დასვენებას.

დემურ ტალახაძე

კომპანია ,,არემჯის''დირექტორის კონსულტანტი წიაღისეულის გამამდიდრებელ ფაბრიკაში

დემურ ტალახაძე პროფესიით სამთო-გეოლოგია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან მოღვაწეობა ინსტიტუტშივე გააგრძელა სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების კადეთრაზე, ჯერ ასისტენტის პოზიციაზე, შემდეგ კი კათედრის გამგედ. ამჟამად საქართველოს ტეკნიკური უნივერსიტეტის პროფესორია.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 35-ზე მეტი საავტორო მოწმობისა და პატენტის ავტორია. გამოქვეყენებული აქვს 4 სახელმძღვანელო, მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, სამეციერო ნაშრომების მიმართულებაა მყარი წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიები.

ამჟამად პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, როგორც კონსულტანტი მონაწილეობას იღებს კომპანიაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში, რომელიც მაღალ- ხარისხოვან პროდუქციის მიღებას ემსახურება.

„მე, როგორც ახალგაზრდა თაობის აღმზრდელს მახარებს, რომ მენეჯმენტი დიდ ყურადღებას უთმობს მომავალი თაობის აღზრდას. ბოლო წლებში კომპანიის ინიციატივით განხორცილდა მთელი რიგი ღონისძიებები: როგორიცაა სტუდენტებისთვის განკუთვნილი პროქტები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაპროფილებელი სპეციალობის სტუდენტები. ახალმა კამპანიამ ,,გახდი სამთოელი'', რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის მოზიდვა რათა დაეუფლონ სამთოელის და გეოლოგის პროფესიას და შესაბამისად გახდნენ კომპანიის წევრები, მკვეთრად გააუმჯობესა სტუდენტების დამოკიდებულება სწავლისადმი. აღნიშნული ღონისძიებების გარდა კომპანია დაინტერესებულია სასწავლო პროცესების ტექნიკური და მატერიალური აღჭურვილობის გაძლიერებასა და განახლებაზე. ყოველივე ეს განაპირობებს წარმოებისა და სასწავლო დაწესებულებების მჭიდრო კავშირს, რაც საწინდარია განათლებული ახალგაზრდების აღზრდაში.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.